ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3866093

ნომერი: AR1582587

თარიღი : 07.03.2018

გაცემის თარიღი : 15.03.2018

გაცნობის თარიღი : 17.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ამირაჯიბი პ/ნ 01012028186
- თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 49 ბ. 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005663 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 7 მარტს №AR1582587 განცხადებით მომართეს ქეთევან ამირაჯიბმა და თამარ დორეულმა. განმცხადებლებმა

მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005663 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2016 წლის 8 დეკემბერს №2983512 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №3, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.17.14.001.297), მრავალფუნქციური შენობის (აპარტჰოტელი და კომერციული) არქიტექტურული პროექტი.
2016 წლის 19 დეკემბერს №3005663 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №3, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.17.14.001.297), მრავალფუნქციური შენობის (აპარტჰოტელი და კომერციული) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 19.12.2016 -დან 19.12.2018-ის ჩათვლით.
ასევე სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლები ქეთევან ამირაჯიბი და თამარ დორეული წარმოადგენენ შპს ,,ასტორია გრუპი''-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებს.
წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებლები ითხოვენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005663 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ველში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს ,,სალვუს ისანი''-ს (ID ნომერი: 420000162) ნაცვლად შპს "ასტორია გრუპი"-ს (ID ნომერი: 404550464) დაფიქსირებას.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის (N 01.17.14.001.297) მესაკუთრეს საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია N 892018190777 - 06/03/2018, მომზადების თარიღი: 06/03/2018 16:16:45) თანახმად, წარმოადგენს შპს ,,ასტორია გრუპი'' (ID ნომერი: 404550464)). შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005663 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ასტორია გრუპი''(ID ნომერი: 404550464).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005663 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005663 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.